ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ

# ახალგაზრდა ივერიელი

1921 წლიდან

ხუთშაბათი 25 ოქტომბერი № 117 (11603) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.

ესეც ჩვენი ისტორიაა

## 99, 99 პროცენტი






„99,99 პროცენტი" — ეს ოთხი ცხრიანი ფიგურირებდა უმთავრესად საარჩევნო კომისიების დასკვნებში საარჩევნო კამპანიის დამთავრებისას, მაგრამ იგი სულაც ვერ გამოხატავდა იმ ხალხის ერთსულოვნებას, რომელიც „თავის კანდიდატს ირჩევდა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. ბევრმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ეს „არჩეული" დეპუტატები, სინამდვილეში „ზემოდან" დანიშნულები იყვნენ, მაგრამ სხვაგვარად ვერ წარმოედგინათ, რადგან დიდი სახელმწიფო მანქანის ჭანჭიკს აზროვნების უფლება არ ჰქონდა, მის მაგივრად სხვას უნდა ეფიქრა, სხვას უნდა გადაეჭრა მისი ბედი. ამაში დაგარწმუნებთ ეს ფოტოდოკუმენტებიც, რომლებიც საქართველოს კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების სახელმწიფო არქივიდანაა ამოღებული და რომელიც 30-იანი წლების საარჩევნო კამპანიის დღეებს აცოცხლებს ჩვენს წინაშე. აქ ინახება უმდიდრესი ფოტო და კინო მასალა, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ კულტურულ-სამეურნეო საქმიანობაზე. განზრახული გვაქვს პერიოდულად გაგაცნოთ ეს ფოტოდოკუმენტები. ამჯერად კი რედაქცია მადლობას უხდის არქივის თანამშრომელს **მზია ქუცნიაშვილს** ამ დოკუმენტების შემოთავაზებისათვის.

ბევრ ფოტოს კომენტარი არც სჭირდება. ყველა თუ არა, უფროსი თაობის ადამიანები მაინც იცნობენ ამ სურათებზე წარმოდგენილ „ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო ადამიანებს", რომელსაც „ერთსულოვნად" აძლევენ ხმას საქართველოს ყველა კუთხეში.

გორელ მშრომელებს ალბათ მეტი საფუძველი ჰქონდათ მხიარულებისა და გარმონით ამიტომაც გამოსულან არჩევნების დღეს, მაგრამ, როგორც ჩანს, არც სხვებს დაუკლიათ თავგამოდება. ამის დასტურია არჩევნებისადმი მიძღვნილი მიტინგი თიანეთში, დასავლეთ საქართველოს გუნდის ჩამოსვლა თბილისში ლოტბარ ოტია პაჭკორიას ხელმძღვანელობით, ეს ცხენოსანი ქალი თბილისში, ახლანდელ თავისუფლების მოედანზე, არჩევნებისაკენ მომწოდებელი თბილისელი გოგო-ბიჭებიც და დიდი ბელადის სიტყვის მოსასმენად შეკრებილი თბილისელი მშრომელებიც.

ფოტოს, რომელზეც საქართველოს უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის პრეზიდიუმია გამოსახული, ასეთი წარწერა ჰქონდა: „პრეზიდიუმში სხედან დეპუტატები კ. ნ. ჩარკვიანი, ფ. ე. მახარაძე, მ. ნ. ჯაში, ვ. ეგნატაშვილი, ი. ვ. ტულენევი და სხვები". ბედის ირონიაა, ამ „სხვებში" იგულისხმება ივანე ჯავახიშვილიც...

იხ. მე-2 გვ.




მურთაზ აბაშიძის ფოტო.

## ყურადღება: პირდაპირ ეთერში!

საქართველოს რადიოს მთავარი პროგრამების რედაქციამ ამას წინათ გამოაქვეყნა (გაზეთში — „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი", № 42) თავისი მუშაობის პროგრამა მომავალი წლისათვის. მათ განაცხადეს, რომ მიზნად აქვთ დასახული პირდაპირი, ცოცხალი, უწყვეტი მაუწყებლობა! წელს პირდაპირ ეთერში (ე. ი. წინასწარ ჩაუწერლად) გადიოდა „პიკის საათი", „მაცნე", „ადამიანი და კანონი". მომავალ წელს ასეთი გადაცემების რიცხვი კიდევ გაიზრდება.

გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია რადიოს პროგრამებისა და ციკლური გადაცემების ჩამონათვალი. მათში ბევრია ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი და საინტერესო გადაცემები. ასე რომ, მკითხველს (უფრო სწორად, რადიომსმენელს) საშუალება აქვს დაიმახსოვროს თავისთვის სასურველი გადაცემების დრო.

თავისი მომავალი სამუშაო პროგრამის მოსახლეობის სამსჯავროზე გამოტანა საინტერესო სიახლეა ჩვენს რადიომაუწყებლობაში. ვფიქრობთ, ამ დადებით მაგალითს ტელევიზიაც გაიზიარებს. ხოლო რადიომსმენელებს ვურჩევთ, შეინახონ გაზეთის ეს ნომერი.

**საკუთარი ინფორმაცია**


თავისუფალი საქართველო
№ 1 23 X 1990
უკვდავი პრესსა

გამოვიდა კიდევ ერთი ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „თავისუფალი საქართველო". როგორც სარედაქციო წერილშია აღნიშნული, ეს იქნება „ხმობილო თავისუფალი პრესისა და თავისუფალი აზრის უკვდავებისა".

„თავისუფალი საქართველო" მრავალი მაგიდის გაზეთია. მისი რედაქტორია მამუკა ფაჩუაშვილი. გაზეთი ღირს 50 კაპიკი.

**საკუთარი ინფორმაცია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესეც ჩვენი ისტორიაა

























ესეც ჩვენი ისტორიაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თვალსაზრისი**

# ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის ორგანიზაციის პრობლემა

**თბილისის** ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის წინადადებით, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატმა განვლილ წლებში მისაღები გამოცდების შედეგების გათვალისწინებით შეიმუშავა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის უკეთ ჩატარების ალტერნატიული მოდელი. ამის თაობაზე გაზეთ „სახალხო განათლების" 1989 წლის 6 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი წერილი „მისაღები გამოცდები — კვლავ „აქილევსის ქუსლი". ამ საკითხს ეხებოდა აგრეთვე ჩვენი სტატია „მისაღები გამოცდები: მისი შუქჩრდილები" (გაზ. „თბილისი" 1990 წ., 13 სექტემბერი).

ამა წლის 5 იანვარს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროში შედგა თათბირი, რომელშიც სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა ქართული ენისა და ლიტერატურის გასული წლის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეები, პროფესორ-მასწავლებლები და საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები.

ეს თათბირი მიეძღვნა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების საკითხებს, განსაკუთრებით კი — უმაღლეს სასწავლებლებში წერითი გამოცდის იმგვარად ორგანიზაციას, რომ აბიტურიენტს შესაძლებლობა მიეცეს **შეგნებული ცოდნისა და ნიჭის გამოვლენისა** და მაქსიმალურად გამოირიცხოს „შპარგალკის" გამოყენებაზე დაფუძნებული შემთხვევითობა და არაობიექტურობა შეფასებაში. თათბირზე მსჯელობის საგანი იყო ჩვენი ზემოხსენებული სტატია. სხდომის მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სტატიაში გამოთქმულ იდეას, რომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე **ტრადიციული თემები შეიცვალოს საკითხებით.** მასწავლებელთა მხარდაჭერამ გადაგვაწყვეტინა, კვლავ გვეუწყებინა საზოგადოებისათვის წერით გამოცდაზე მოსალოდნელ ცვლილებათა შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ მაშინ თავი შევიკავეთ, რადგან გამოცდებამდე ხუთიოდე თვე რჩებოდა და ასეთ ცვლილებათა რეალიზაციას შეიძლებოდა საზოგადოების გარკვეული ნაწილის რეაქცია მოჰყოლოდა.

ახლახან, 16 სექტემბერს, მეთოდკაბინეტისა და უმაღლესი სკოლების სამმართველოს თათბირზე, სადაც მიწვეულნი იყვნენ ქართული ენისა და ლიტერატურის სკოლის მასწავლებლები და საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეები, კვლავ დაისვა ეს საკითხი და გადაწყდა, მომავალ წელს ქართული ენისა და ლიტერატურის მისაღებ გამოცდებზე ცვლილებათა შეტანის თაობაზე დროულად ყოფილიყო ინფორმაცია გამოქვეყნებული. ჩვენი წერილი სწორედ ამ დანიშნულებით იბეჭდება.

დღეს ყველა გრძნობს, რომ მისაღები გამოცდების სტრუქტურა, შინაარსი და ფორმა მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს. დაყოვნებამ შეიძლება გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანოს საზოგადოება. ასეთ საფიქრალს აღძრავს ბოლო ორ წელს რესპუბლიკაში მომხდარი უჩვეულო ფაქტი — **ყველა** დადებითნიშნიანი აბიტურიენტის ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებელში. შარშან ეს გატარდა სახელმწიფო სექტორზე კონტინგენტის გაზრდით, წლეულს კი — ფასიანი სწავლების შემოღებით. ეს მოვლენა საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მთავრობის ჰუმანურ გადაწყვეტილებად აღიქვა, საგრძნობმა ნაწილმა კი — როგორც ლიბერალურად ჩატარებული მისაღები გამოცდების გამოძახილი, ცოდნა-განათლების ერთგვარი დევალვაცია.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ, თუ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებმა კონტინგენტმა ყოველწლიურად იმატა, უმძიმესი ეროვნული პრობლემის წინაშე დავდგებით (დღესაც რომ უკვე საგრძნობლად გვაწუხებს), როცა გვეყოლება უამრავი დიპლომიანი პიროვნება, მაგრამ ფაქტიურად სპეციალისტი არ აღმოგვაჩნდება. რაოდენობის გამრავლებას სიკეთე არასოდეს მოუტანია და ახლაც ასე იქნება — გაჭირდება ავისა და კარგის გარჩევა, უეჭველად დაქვეითდება სწავლების ხარისხი და შეიქმნება კვალიფიციურ სპეციალისტთა მწვავე დეფიციტი.

საიდუმლოება არაა, ბოლო წლებში განსაკუთრებით ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე მაღალი და უმაღლესქულიანი აბიტურიენტების რიცხვი, ტექნიკური ტერმინი, რომ ვიხმაროთ, დასაშვებ ზღვარს აჭარბებს. ამას რამდენიმე ფაქტორი აპირობებს (ასეთი ფაქტორები მეტ-ნაკლებად არაჰუმანიტარულ ფაკულტეტებზეც მოქმედებს). ჯერ ერთი, აბიტურიენტთა მომზადების დონე ყოველწლიურად საერთოდ მაღლდება, იზრდება კონკურსი, მატულობს მედალოსანთა რიცხვი. ეს, ცხადია, დადებითი და სასურველი ფაქტია. მეორე, მაღალ და უმაღლესქულიანთა სიჭარბე გამოწვეულია **ცოდნის შეფასების არსებულ კრიტერიუმთა მოძველებით, არასრულყოფილებითა და არასტაბილურობით.** მართალია, ინსტრუქცია თითქოს განსაზღვრავს, რა სახის და რა რაოდენობის შეცდომებზე დაიწეროს ესა თუ ის ნიშანი, მაგრამ სხვადასხვაგვარი შეფასებისათვის დასაშვებ შეცდომათა რიცხვით მაჩვენებლებს შორის ისეთი ფართო მიჯნა თუ კორიდორია, რომ თავისუფლად შეიძლება მოხდეს უზუსტობა შეფასებაში ერთი ქულის ფარგლებში; ეს გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ წერითი ნაშრომის **შეფასების სირთულეს,** რომლის დასაძლევად არ კმარა მარტო ცოდნა, პროფესიონალიზმი, არამედ საჭიროა სიტყვის გრძნობა, ალღო, ფაქიზი ლიტერატურული გემოვნება. მესამე მიზეზი . მაღალქულიანთა სიჭარბისა, სამწუხაროდ, ცოდნის შეფასებისას შეგნებულად დაშვებული არაობიექტურობა ანუ პროტექციონიზმია.

სამწუხარო ფაქტია, რომ პროტექციონიზმი გამოცდებზე დღითი დღე მასშტაბური ხდება, რასაც პიროვნებათა მხოლოდ სუსტი ნებელობითა და უპრინციპობით ვერ ავხსნით. მისი საფუძველი ღრმა სოციალურია. კარგა ხანია საერთო მოშვებულობამ, უსამართლობის დაუსჯელობამ საზოგადოების დიდ ნაწილს შეუსუსტა რწმენა იმისა, რომ სამართლიანობა და კანონიერება საგანგებო ძალისხმევის გარეშე გაიმარჯვებს. სამართლიანობის გამარჯვებისადმი რწმენის დაკარგვის საკომპენსაციოდ წარმოიშობა შიშნარევი იმედი იმისა, რომ კონკრეტული მიზნის მისაღწევად თუნდაც არაკანონიერი საშუალებები იქნეს გამოყენებული. არასწორია ფიქრი იმაზე, რომ „დახმარების" გარეშე ნიჭიერი და მომზადებული ახალგაზრდაც კი ვერ ჩაირიცხება უმაღლეს სასწავლებელში, პროტექციონიზმს ტოტალურს ხდის და თავისი გავლენის ქვეშ ულირსთან ერთად, სამწუხაროდ, ღირსეულსაც აქცევს. ასეთმა პროტექციონიზმმა ლამის სოციალური სტატუსი მოიპოვოს, „კაიკაცობად" გაშინაარსდეს. ცხადია, პროტექციონიზმი, ანგარებითია თუ უანგარო, ორივე შემთხვევაში სოციალური მანკიერებაა, რომელიც ხელს უშლის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანის გადაწყვეტას — მომავალი ეროვნული კადრების სწორად შერჩევასა და აღზრდას.

აშკარაა, რომ მისაღები გამოცდების ორგანიზაციის სტრუქტურაში ბევრი რამ შესაცვლელია. ამას ყველა გრძნობს — გამომცდელი და გამოსაცდელიც. ზოგი გამოსავალს ფასიანი სწავლების შემოღებასა ან მისაღები გამოცდების საერთოდ მოხსნაში ხედავს, შერჩევა საშუალო სკოლის ატესტატების მიხედვით მოხდესო. მაგრამ ეს მდგომარეობის გამოსწორების გზა არ არის, რადგან რა ნაკლიც დღეს **მისაღებ** გამოცდებს აქვს, თუ უგამოცდოდ ჩარიცხვის პრაქტიკა შემოვა, ყველა ის გადაინაცვლებს უმაღლესი სასწავლებლის **სასემესტრო** გამოცდებზე და არსებითად ჭარბი კონტინგენტის სავარაუდო „გაცხრილვა" არ მოხდება. მეორეც — და, ფასიანი სწავლება ყველასათვის ასატანი ვერ იქნება ეკონომიურად. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ არა მისაღები გამოცდების მოხსნაზე, არამედ მისი მექანიზმის გაუმჯობესებაზე.

ვფიქრობთ, გამოცდების რეორგანიზაციას საფუძვლად უნდა დაედოს ვარიანტული შესაძლებლობის პრინციპი. ნორმატიული მოთხოვნების ფარგლებში ერთ-ორ წელიწადში **უნდა იცვლებოდეს წერითი გამოცდის კონკრეტული** შინაარსი და ფორმა, რომ საპროგრამო თემატიკა არ გახდეს სტერეოტიპული და აბიტურიენტთა შეგნებული ცოდნა არ შეიცვალოს გაუაზრებელი დაზეპირებითა და „დაშპარგალკებით". ვიმეორებთ, მისაღები გამოცდების ორგანიზაციისა და შინაარსის გარდაქმნა ისე უნდა წარიმართოს, რომ გამოსწორდეს დღემდე მოუშორებელი სამი დიდი ნაკლი: **ტრაფარეტიზმი** ცოდნაში, **შპარგალკომანია** და მეტასტაზური **პროტექციონიზმი.**

**ტრადიციულად** მშობლიური ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე აბიტურიენტს სამი თემა ეძლევა, რომელთაგან ერთ-ერთს ირჩევს. დამაფიქრებელია ერთი გარემოება: რამდენად სამართლიანია და რაციონალური, რომ **სამი** დავალებიდან, რომლებიც სავალდებულო პროგრამაში მასალას ემყარება (თავისუფალი თემაც არსებითად პროგრამულია), აბიტურიენტს გადასაწყვეტად მოეთხოვება **ერთი.** ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ სავალდებულო ცოდნის შემმოწმებელი **გამოცდა ტარდება დავალების არჩევითად და არა სავალდებულოდ შესრულების პრინციპით.** ეს ცუდია, რადგან თანაბარ შესაძლებლობებს უქმნის სრულიად განსხვავებული მომზადების აბიტურიენტთ: იმას, ვისაც შეეძლო სამივე დავალება შეესრულებინა, და იმასაც, ვისაც შეეძლო შემთხვევით მხოლოდ ერთი გაეკეთებინა. გამოდის, რომ მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის დღემდე არსებული მოდელი დასაწყისშივე, დავალების მიცემის სტადიაშივე, ლიბერალურია: სამიდან ორი საკითხის არცოდნა საპატიოა, უკეთ, იცი, არ იცი, სულერთია, ცოდნის შეფასებაში ეს არ გამოჩნდება. თუ ვფიქრობთ, რომ ეს ნაკლი ზეპირი გამოცდით სწორდება (ბილეთში შეტანილი სამი თუ ოთხი საკითხი ერთობლივ მოსათხოვია და არა შერჩევით), მთლად სწორი არ არის, რადგან, ჯერ ერთი, ზეპირი გამოცდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში არაჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე არც ბარდება, და, მეორეც, წერითი გამოცდა შეიძლება ისე ჩატარდეს, რომ მას გამოსასწორებელი არაფერი ჰქონდეს ზეპირ გამოცდაზე. როგორ? — იკითხავს მკითხველი, — წერით გამოცდაზე მიცემული სამი თემის დამუშავება ხომ შეუძლებელია ფიზიკურად და დროის თვალსაზრისითაც?! დიახ, შეუძლებელია. მაგრამ შეუძლებელია იმ სახით, რა სახითაც ისინი ეძლევა აბიტურიენტებს. ამიტომ, თუ გვინდა გამოცდამ რეალური შინაარსი დაიბრუნოს, ტრაფარეტებად ქცეული **თემები** (რომელთა გართულებაზე ხშირად თავს იტეხენ კომისიის - თავმჯდომარეები) **უნდა შეიცვალოს კონკრეტული საპროგრამო საკითხებით.**

აბიტურიენტებს ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე საწერად უნდა მიეცეს ხუთი საკითხი, სამი — ლიტერატურიდან (თითო ქართული მწერლობის თითო პერიოდიდან), ერთი — გრამატიკიდან (წინადადების გარჩევა), და ერთიც თავისუფალი მსჯელობისათვის. არაჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე შემსვლელთ საკითხები შეიძლება ნაკლები მიეცეთ (კონკურსის კვალობაზე).

**პირველ საკითხზე** პასუხმა უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის მიერ **ლიტერატურული მასალის ცოდნა** (ვთქვათ, „ვეფხისტყაოსნიდან" შინაარსი: „ლომ-ვეფხის დახოცვის ეპიზოდი", „ავთანდილის შებრძოლება მეკობრეებთან", „სამთა თათბირი და ქაჯეთის ციხის აღება", ან „ოთარაანთ ქვრივიდან": „ორი თვალი", „ხუთი ქისა", „გიორგის სიკვდილი", „და-ძმის საუბარი ხიდჩატეხილობაზე" და სხვ.

**მეორე საკითხმა** უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის **აზროვნების, განსჯის,** ლიტერატურული მასალის **კრიტიკულად შეფასების უნარი.** ვთქვათ, იდეურ-მხატვრული ანალიზი რომელიმე ლექსის ან პოემის თუ მოთხრობის ეპიზოდისა („ვისაც გსურთ", „რად ჰყვედრი კაცსა...", დღისა და ღამის, ან თერგისა და მყინვარის შედარება „მგზავრის წერილებიდან", მწყემსი ქალის და განდეგილის დიალოგი, სანათასა და კვირიას საუბარი „ბახტრიონიდან".

**მესამე საკითხმა** უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის **მსოფლმხედველობა,** მისი **ზოგადი ცოდნა** სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული **კულტურული,** კერძოდ, **ლიტერატურული მოვლენებისა** (ვთქვათ, „ქართული ლიტერატურის განვითარების პერიოდები", „ქართული რომანტიზმის სპეციფიკა", „სამოციანელთა ესთეტიკური შეხედულება"). ამ ტიპის საკითხები განხილულია სასკოლო კრიტიკულ სახელმძღვანელოებში, ე. წ. გარჩევის წიგნებში.

**მეოთხე საკითხი** — წინადადების გრამატიკული (სინტაქსური და მორფოლოგიური) გარჩევა — გამოავლენს აბიტურიენტის **პრაქტიკულ ცოდნას** ქართულ ენაში (გრამატიკულ ტერმინებსა და კატეგორიებზე **თეორიული** მსჯელობისა და ცოდნის შემოწმება **ზეპირ** გამოცდაზე უფრო შეიძლება).

**მეხუთე საკითხმა** უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის **შემოქმედებითი, თავისუფალი მსჯელობის** თუ ფანტაზიის უნარი, ვთქვათ, როგორ გვესმის ესა თუ ის **ანდაზა ან აფორიზმი,** როგორ აღვიქვამთ ამა თუ იმ საგანს (ვარდს, თოვლს, ზღვას...) ან მოვლენას (წვიმას, ქარს, ცისარტყელას, უხეშობას, თავაზიანობას...) და ა. შ. ეს ბოლო საკითხი შეიძლება არ მიეცეს არაჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე შემსვლელ აბიტურიენტებს.

ცოტა რამ პრაქტიკულ მხარეზეც: აბიტურიენტის მიერ ხუთივე კითხვაზე გაცემული პასუხები **ცალ-ცალკე შეფასდება,** ხუთბალიანი სისტემით, ბალების ჯამი გაიყოფა ხუთზე და გამოიყვანება ერთი საბოლოო შეფასება (არადამაკმაყოფილებელი შეფასება, ცხადია, ბალების ჯამში არ უნდა შევიდეს). ამდენად, ფრიადი დაიწერება 23-25 ბალზე, კარგი — 18-22 ბალზე, დამაკმაყოფილებელი — 12-17 ბალზე, არადამაკმაყოფილებელი — 11 და ნაკლებ ბალზე. სიზუსტის მისაღწევად აუცილებელია ნახევარი ქულის დაშვება შეფასების სკალაში. წერითი გამოცდის ნორმალურად ჩატარებისათვის საჭირო იქნება **დროის გაზრდა** როგორც აბიტურიენტებისათვის (ვთქვათ, ხუთი ასტრონომიული საათი), ასევე გამომცდელთათვისაც ნამუშევართა გასასწორებლად. **ნაკადურად დაწერილი** ნაშრომების **ღია გასწორება** (დაშიფრვას აზრი არა აქვს და თანაც ურთულეს ზნეობრივ პრობლემებს სვამს), დაევალება მაღალკვალიფიციურ გამომცდელთა მცირე რაოდენობას **გაზრდილ დროში,** რითაც მაქსიმალურად გაიზრდება გამომცდელთა **პირადი** პასუხისმგებლობაც.

მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდა არაჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე უნდა ჩატარდეს ამავე წესით, ოღონდ საკითხები რამდენადმე უნდა გამარტივდეს და ერთით ან ორით (გააჩნია კონკურსს) დაიწიოს შეფასების გამოსაყვანი ბალების რაოდენობამ. წერითი გამოცდის ჩატარების ამ სავარაუდო მოდელის რიგიანად განხორციელება დამოკიდებული იქნება გამომცდელთა მაღალ პროფესიონალიზმზე, ასევე საშემსრულებლო კულტურასა და დისციპლინაზე, რადგან ამათ გარეშე ძალიან გონივრულად მოაზრებული ღონისძიებაც კი შეიძლება დანაშაულებრივ ფარსად იქცეს.

რა თქმა უნდა, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში გამოცდების ტრადიციული მოდელის შეცვლა არ შეიძლება, ყველამ ერთგვარად აღიქვას, მაგრამ იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ბოლოს და ბოლოს დროა, უმაღლესი სასწავლებლების **შემცირებული** კონტინგენტი დაიკავონ მხოლოდ **მრავალმხრივი და შეგნებული ცოდნის მქონე მოაზროვნე ახალგაზრდებმა** ისეთ საგამოცდო ატმოსფეროში, სადაც არ იქნება შესაძლებლობა ცოდნის შეფასებაში მიკერძოებისა.

**კორნელი დანელია,**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.**

# მე, რიგითი ამომრჩეველი, გთხოვთ...

აგვიხდა დიდი ხნის ოცნება — საქართველოში პირველად ტარდება მრავალპარტიული არჩევნები, რომელსაც თითოეული ჩვენგანი დიდი იმედებით მოველით. ამასთან დაკავშირებით, მინდა, ერთი მოსაზრება გამოვთქვა: მოსალოდნელია, რომ იმ პარტიების და ბლოკების წარმომადგენლებმა, რომელთაც სამართლიანად უარი ეთქვათ არჩევნებში მონაწილეობაზე, იქ, სადაც ხელი მიუწვდებათ საბოტაჟი გაუწიონ და არჩევნებისადმი ბოიკოტისაკენ მოუწოდონ ამომრჩევლებს. ამის გამო, თუ ჩვენ გვსურს, რომ საქართველოში ბოლოს და ბოლოს დამკვიდრდეს დემოკრატია, პიროვნების თავისუფლება, კანონმა და სამართალმა გაიმარჯვოს, ეს გაურკვეველი და ფაქტიურად უმართავი მდგომარეობა, რომელიც დღეს არის ჩვენს რესპუბლიკაში, დროულად შეიცვალოს ჩვენს სასიკეთოდ, უმორჩილესად ვთხოვ და მოვუწოდებ ქართველ ხალხს და არაქართველ მოსახლეობას, რომელიც საქართველოს უკეთესი მომავლით არის დაინტერესებული, მიიღონ აქტიური მონაწილეობა კარზე მომდგარ არჩევნებში.

**სოსო მაისაშვილი,**
**რიგითი ქართველი ამომრჩეველი.**

**სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების თბილისის საქალაქო ორგანიზაციის**

# განცხადება

1990 წლის 27 სექტემბერს ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის რეგიონალურმა ფრონტმა „ალმაშენებელმა", გამგეობისა და პირველადი ჯგუფების რწმუნებულთა გაფართოებულ კრებაზე გამოაცხადა თვითლიკვიდაცია.

რეგიონალური სახალხო ფრონტის ბაზაზე დაფუძნდა სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების თბილისის საქალაქო ორგანიზაცია.

ცნობისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: **95-76-70, 95-41-77.**

# საარჩევნო ბლოკის „დემოკრატიული საქართველო“

## პოლიტიკური დეკლარაცია

საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული საქართველო“ აერთიანებს შემდეგ პოლიტიკურ ორგანიზაციებს: ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, რესპუბლიკურ პარტიას, თავისუფალ დემოკრატთა კავშირს, ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებას, არჩილ ჯორჯაძის საზოგადოებას, დემოკრატიულ სახალხო ფრონტს, დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნულ პარტიას. ამათ გარდა ზოგიერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციასაც: მრეწველთა კავშირს, წმინდა დავით აღმაშენებლის საზოგადოებას, სომეხთა კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოებას. „დემოკრატიული საქართველო“ აერთიანებს აგრეთვე უპარტიო კანდიდატებს — კულტურის, მეცნიერებისა და სამეურნეო საქმიანობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, რომლებთანაც თანამშრომლობის კარგი ტრადიცია უკვე საკმაო ხანია ჩამოყალიბდა.

„დემოკრატიულ საქართველოს“ მიაჩნია, რომ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ყველა იმ შესაძლებლობის სრულად გამოყენება, რომელსაც საქართველოში დღეს არსებული სტრუქტურები იძლევა. ჩვენ ვიბრძოლებთ, რათა ნებისმიერ ანტიდემოკრატიულ ძალას არ მივცეთ საშუალება ხელისუფლების არჩევითი ორგანოები გამოიყენონ ტოტალიტარიზმის გახანგრძლივებული ფორმების ლეგალიზაციისათვის.

„დემოკრატიულ საქართველოს“ აუცილებლად მიაჩნია გაცხადებულ იქნას სიმართლე საქართველოს ობიექტური მდგომარეობის შესახებ: საქართველო არის დაპყრობილი, ოკუპირებული, ანექსირებული ქვეყანა და საქართველოს მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ არის შეყვანილი სსრ კავშირში.

„დემოკრატიული საქართველო“ ... ბელი ნებისმიერი სამოკავშირეო თუ სხვა ხელშეკრულებისა.

„დემოკრატიულ საქართველოს“ შეუძლებლად მიაჩნია კომუნისტური რეჟიმის „გარდაქმნა“, მან უნდა შეწყვიტოს არსებობა. მიუხედავად ამისა, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მზად ვართ ვაწარმოოთ მოლაპარაკება მათთან, ვისაც ხელთ უპყრია ძალაუფლება, მაგრამ უარვყოფთ ყველანაირ შეთანხმებას, რომელიც კომუნისტური რეჟიმის გადარჩენას შეუწყობს ხელს.

„დემოკრატიული საქართველო“ წინააღმდეგია დიქტატურის ყველანაირი ფორმისა. ჩვენ წინ აღვუდგებით არა მარტო დიქტატურას, რომლის ძალაუფლების საფუძველია არმია და პოლიტიკური პოლიცია, არამედ იმ დიქტატურასაც, რომლის ძალაუფლება მოპოვებულია პოპულარიზმითა და დემაგოგიით, ხალხის თუნდაც მნიშვნელოვანი ნაწილის ...

... ბობს ხალხისათვის და არა პირიქით.

„დემოკრატიული საქართველო“ სოლიდარულია საქართველოს გარეთ მცხოვრები თანამემამულეებისა და გრძნობს პასუხისმგებლობას მათი ბედისადმი. საქართველოდან გადახვეწილ თანამემამულეებსა და მათ შთამომავლებს უნდა შევქმნათ შესაფერისი პირობები სამშობლოში დასაბრუნებლად. ვესწრაფვით რა კეთილ ურთიერთობებს მეზობელ სახელმწიფოებთან, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო საზღვრებმა დაბრკოლება არ უნდა შეუქმნას ქართველთა ეროვნულ და პოლიტიკურ ერთიანობას. ჩვენ ხელს შევუწყობთ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა უფლებების განხორციელებას, ენის, კულტურისა და ტრადიციების თავისუფალ განვითარებას.

„დემოკრატიული საქართველო“ ...

# დაე, გაიმარჯვოს თავისუფლებამ...

# პარტიის რიგებიდან გასულთა სოციალური დაცვის საზოგადოების შექმნის შესახებ

კარს მოგვადგა ჩვენს ისტორიაში პირველი დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები, რომლის მოახლოვებასთან ერთად პირისპირ ვდგებით ხვალინდელ დღესთან. ეს ის ეტაპია, როდე- ...

... რდაპირა. უკანასკნელ ხანს წამოიჭრა საკითხები ადმინისტრაციული და რიგი სხვა ორგანოების დეპოლიტიზაციის თაობაზე და ამ საკითხის დასმაზე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე. ...

... ტიურად დაუ... ის უმაღლესი ... პროფესორ-მასწა... დენტებმა, შრომ... ბის წარმომადგე... ხლეობამ, რომ ...

---

## ხმა მიეცით

## "განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება"

**№ 11 საარჩევნო ბლოკის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს**

საარჩევნო ბლოკი აერთიანებს

კონსტიტუციურ-დემოკრატიულ,

პროგრესულ-დემოკრატიულ, შრომის,

გლეხთა პარტიებს,

მრეწველებს, მშენებლებს,

კოოპერატორებს.

შემოხაზეთ # 11

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების

**საარჩევნო ბიულეტენი**

28 ოქტომბერი 1990 წ.

შემოხაზეთ იმ პარტიის (საარჩევნო ბლოკის) რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევთ ხმას:

1. „თავისუფლება“ — საარჩევნო ბლოკი: რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია; „დმპ“-ი (დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის); ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია; მწვანეთა პარტია; ეროვნული თანხმობის ასოციაცია; ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი
2. საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული პარტია
3. საქართველოს კომუნისტური პარტია
4. საქართველოს აგრარული კავშირი
5. „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“ — საარჩევნო ბლოკი: ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი; მშვიდობისა და თავისუფლების პარტია
6. საქართველოს სახალხო პარტია
7. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება
8. საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „შალიკო“
9. „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიისა და მთიელთა კავშირი“ — საარჩევნო ბლოკი: ეროვნული ერთიანობის პარტია; მთიელთა პოლიტიკური კავშირი
10. სრულიად საქართველოს მეურნეთა კავშირი
11. „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“ — საარჩევნო ბლოკი: კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია; პროგრესულ-დემოკრატიული პარტია; შრომის პარტია
12. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ — საარჩევნო ბლოკი: ჰელსინკის კავშირი; წმიდა ილია მართლის საზოგადოება; მერაბ კოსტავას საზოგადოება; ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი; ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი; ლიბერალურ-დემოკრატიული კავშირი; ეროვნულ-ქრისტიანული პარტია
13. საქართველოს სახალხო ფრონტი
14. „დემოკრატიული საქართველო“ — საარჩევნო ბლოკი: ილია ჭავჭავაძის საზოგადოება; რესპუბლიკური პარტია; თავისუფალ დემოკრატთა კავშირი; ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება; არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება; დემოკრატიული სახალხო ფრონტი; დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია

საარჩევნო პროგრამის — "საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროგრამა — 30 თვე" მირითადი საკითხებია:

- საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება - დღევანდელი საბჭოურ-კოლონიალური სტატუსის აღიარებით, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და განახლება.
- საქართველოს ეროვნული სიმდიდრის განსაზღვრა და ერის საკუთრებად გამოცხადება.
- საკუთრების ყველა ფორმის თანასწორუფლებიანობა, სახალხო მეურნეობის დენაციონალიზაცია და პრივატიზაცია, საბაზრო ეკონომიკის დანერგვა. კერძო და კოლექტიური საკუთრების ფორმების განვითარება, სახელმწიფოებრივი მონოპოლიის გაუქმება. ბიზნესისა და კომერციის სფეროს აღორძინება კერძო ინიციატივაზე დაყრდნობით.
- საქართველოს მოსახლეობის სოციალური გარანტიების განსაზღვრა და დაცვა.
- კერძო საკუთრების დაცვა. ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოფხვრა ლეგალიზაციის გზით.
- აგრარული რეფორმების გატარება. ფერმერული და ტრადიციული მეურნეობის აღდგენა.
- ადგილობრივ მმართველობაში მუნიციპალურობის დამკვიდრება და მისი როლის ამაღლება.
- ქართული ეროვნული თვისებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე ერთა შორის ტოლერანტობისა და თანასწორუფლებიანობის დაცვა.

---

# მოქალაქე

„მოქალაქეც დადიოდა აფუუული. იდგა ჯვარედინზე. ჰგავდა: სოფელ ბელურას, ხარის წვეროზე რომ შემოჯდება ზა- ...

მოქალაქეს ყრუდ ახსოვს, რომ მის ამ სისუსტეს ბოროტად იყენებენ ბელადები, მაგრამ მზადაა კიდევ ერთხელ სცადოს ბედი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს ჩვენი გაზეთის სტუმრები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ სილაგაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ვლადიმერ პაპავა და ამავე ინსტიტუტის ისტორიულ-ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ჯიბუტი.**

# ეკონომისტი—პარლამენტში და პარლამენტს გარეთ

**— ახლა ბევრს ლაპარაკობენ საბაზრო ეკონომიკაზე, თავისუფალ ბაზარზე. როგორ ფიქრობთ, რამდენად გამოსადეგია იგი საქართველოს პირობებისათვის და შესაძლებელია თუ არა მისი რეალურად განხორციელება?**

**მ. ჯიბუტი:** ე. წ. „პერესტროიკის" პერიოდის დაწყებიდან დღემდე, ხუთი წლის განმავლობაში, თავად „პერესტროიკის" გაგება (მხედველობაში მაქვს ეკონომიკის სფერო) რამდენჯერმე შეიცვალა. თავიდან ეს იყო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული განვითარება, ე. წ. ჰუმანური სოციალიზმის შექმნა, შემდგომ გეგმიური (მართვადი) ბაზარი. ბოლოს დარჩა მართვადი ბაზარი...

ჩემი აზრით, „პერესტროიკას" დღევანდელი გაგებით, ეკონომიკური პერსპექტივა არა აქვს. არც ე. წ. თავისუფალი ბაზარი გამოდგება საქართველოს დღევანდელი პირობებისათვის. პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ ქვეყანა მიჰყავს დამოუკიდებელ ეროვნულ ეკონომიკას და არა ბაზარს. საშური საქმეა საქართველოს ეროვნული და ერთიანი სახალხო-მეურნეობრივი კომპლექსის შექმნა და რა გზით იქნება ეს მიღწეული, ამ ეტაპზე მნიშვნელობა არა აქვს. თუ ჩვენ ბაზრის ელემენტების ადაპტაციას მოვახდენთ ეკონომიკური სუვერენიტეტის განსახორციელებლად, კარგია, მაგრამ თუ ჩავებმებით საბაზრო ეკონომიკაში უკვე ცნობილი პროგრამების („500 დღე", სამთავრობო და ა. შ.) განხორციელებაში, მაშინ დავკარგავთ იმ ეროვნულ ენერგიას, რომელიც მოაკლდება თავისუფლებისათვის ბრძოლას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა საკავშირო ეკონომიკური პროგრამა ძირითადად პოლიტიკური პროგრამაა. ამიტომ, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში გადასვლით და სხვა ღონისძიებებით, ჩვენ, ალბათ, საქართველოს ინტერესების გამომხატველი სახელმწიფო უნდა გავაძლიეროთ. პერსპექტივაში, კრიზისიდან თავდაღწეული და თავისუფალი ქვეყანა თავისუფალი იქნება ეკონომიკურ ქცევაშიც.

**ვ. პაპავა:** საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ეს დღევანდელი რეალობაა. მაგრამ ამ საბაზრო ეკონომიკამ ჩვენ შეიძლება კაბალურ მდგომარეობაში მოგვაქციოს, რადგანაც ცენტრის პოლიტიკით თუ სსრკ-ში შეიქმნება ქვეყნის ერთიანი ბაზარი, ჩვენ ახალი ხელშეკრულებებით კვლავ დაკაბალებულები ვიქნებით. ამიტომაც თავისუფალი ბაზარი უნდა შეიქმნას საქართველოშიც და სხვა რესპუბლიკებთან ურთიერთობები რეგიონალური ბაზრით შემოიფარგლოს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამოგვადგეს კიდეც რეგიონალურ ბაზარში მონაწილეობა.

რას გულისხმობს საქართველოს ბაზარი? — ესაა საკუთარი საბაჟო, საფინანსო, საგადასახადო და საბანკო (ეროვნული ფული) სისტემები. ამ მიმართულებით მხოლოდ შატალინის ეკონომიკური პროგრამა გვიტოვებს პატარა ფანჯარას, როცა ამბობს, რომ ის რესპუბლიკები, რომლებიც ახალი ეკონომიკური ხელშეკრულების წევრი არ გახდებიან და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში ითანამშრომლებენ (რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ), მხოლოდ ასოცირებულ წევრებად ჩაითვლებიან. სხვათა შორის, ეს გამონაკლისი დაშვებული იქნა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისათვის და ჩვენც საუცხოოდ შეიძლება ვისარგებლოთ ამით.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ახლა ისეა აბურდული, რომ იმის დათვლაც კი შეუძლებელია, ვინ რამდენს აწარმოებს და ვინ რამდენს ხარჯავს. მაგალითად, ამას წინათ ცენტრმა ჩაატარა გათვლები და აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკებიდან თავის თავს მხოლოდ აზერბაიჯანი და სომხეთი ინახავენ. ეს რა თქმა უნდა, არარეალურია. ჩვენთან ფასების მექანიზმი ისეა დამახინჯებული, რომ რეალურად ამის დათვლა შეუძლებელია.

**ა. სილაგაძე:** მე პირადად, საბაზრო ეკონომიკას მხოლოდ თავისუფალ საქართველოში დავუჭერ მხარს, დღეს კი არსებულ ვითარებაში საქართველოს ეკონომიკას, ბუნებრივია, რომ არ შეუძლია იყოს დამოუკიდებელი. ამისათვის მთელი ინფრასტრუქტურის გარდაქმნაა საჭირო. პირველ ყოვლისა, უნდა განვითარდეს ელექტროტექნიკური წარმოება, მეცნიერებატევადი დარგები. ჩვენ არ უნდა ვიქცეთ მხოლოდ ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყნად.

რა არის საჭირო თავისუფალი საქართველოსათვის? პირველ რიგში მთელი წიაღისეული სიმდიდრე, ბუნებრივი რესურსები უნდა გახდეს ეროვნული საკუთრება. მეორე — საკავშირო დაქვემდებარების ყველა საწარმო უნდა გადაეცეს რესპუბლიკას.

მესამე — უნდა გვქონდეს ეროვნული ბანკი და საკუთარი ფული.

მეოთხე — უნდა გატარდეს თვითმმართველობის პრინციპზე დამყარებული თავისუფალი ეროვნული ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული პოლიტიკა.

მეხუთე — არსებითად უნდა შეიცვალოს საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა ეროვნულ თავისებურებათა, მოწინავე სახელმწიფოთა და მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით.

მეექვსე — უნდა მოხდეს საქართველოს ეროვნულ-დემოგრაფიული ინტერესებისა და რეგიონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით მიწათსარგებლობის საკითხთა საკანონმდებლო რეგულირება.

მეშვიდე — უპირატესად ეკონომიკური მეთოდებით უნდა აღმოიფხვრას „ჩრდილოვანი ეკონომიკის", კორუფციისა და მაფიის წარმომშობი მიზეზები.

მერვე — უნდა დამყარდეს პირდაპირი საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობანი.

სხვათა შორის, საჭიროა საკუთარი ჯარიც! მაგრამ თუ საბჭოთა ჯარების საქართველოდან გაყვანაზე მიდგება საქმე, მათ არ უნდა გავატანოთ სამხედრო ტექნიკა, რადგანაც ჩვენ იაფი არ დაგვიჯდა ამ ტექნიკის შექმნა და შეიარაღებაზე დახარჯული საქართველოს სახსრების კომპენსაცია უნდა მივიღოთ (სხვანაირად ამ სახსრების დაბრუნება მეეჭვება...). გარდა ამისა, როგორც ჩვენ მომავალში არ გვექნება პრეტენზია, ვთქვათ, ბამზე და კამაზზე, ასევე არავის არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია ენგურჰესზე...

**— რას იტყვით ეკონომისტთა მომავალ კადრებზე? რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საქართველოს ძლიერი ეკონომისტები ჰყავდეს?**

**ა. სილაგაძე:** დღესდღეობით ეკონომიკური ფაკულტეტი უნივერსიტეტში ყველაზე დიდია. წელს 3 ახალ სპეციალობაზე გვქონდა მიღება: ფასწარმოქმნის, წარმოების ეკონომიკისა და მართვის და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობებზე. თამამად შეიძლება თქმა, რომ ესენი მომავლის სპეციალობებია. მაგრამ ჩვენთან ძალიან ბევრი ახალგაზრდაა მოწოდებით კი არა, არამედ შემთხვევით მოხვედრილი. ჩემი აზრით უნდა გაუქმდეს მოსამზადებელი განყოფილებები და კარგია, რომ უნივერსიტეტის საბჭომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. ასევე გაუმართლებლად მიმაჩნია სპორტსმენთა სტუდენტებად მიღება (არ ვგულისხმობ ერთეულ გამონაკლისებს, რომელნიც სპორტსაც ართმევენ თავს და მეცნიერებასაც). ყოველ შემთხვევაში, მისაღებ გამოცდებზე სპორტსმენებს შეღავათები არ უნდა გავუწიოთ. მოკლედ, უნდა მოიხსნას შეღავათიანი ლიმიტები (რომლებიც არც თუ მცირეა), სხვანაირად მეცნიერებაში წინ ვერ წავალთ და ვერც მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს მოვამზადებთ.

ჩვენ წელს საკმაოდ კარგად მომზადებული ახალგაზრდები მივიღეთ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე. ამ სპეციალობის სტუდენტები, ალბათ, საზღვარგარეთ გაივლიან პრაქტიკას. მაგალითად, თანამშრომლობას ვაპირებთ ამერიკის ჯორჯიის შტატის უნივერსიტეტთან. ასეთივე კონტაქტები გვაქვს გერმანიასთან, კანადასთან. მომავალში ეს კონტაქტები უფრო გაფართოვდება, რადგანაც უცხოეთში განათლებამიღებული ეკონომისტები (განსაკუთრებით კაპიტალისტურ ქვეყნებში) ჩვენს ქვეყანას ძალიან ჰპირდება. სამაგიეროდ მიღება აღარ გვაქვს რუსულ სექტორზე.

ეკონომიკის ფაკულტეტის სხვადასხვა ეკონომიკური პროფილის მოწინავე სტუდენტებისაგან პირველად შეიქმნა მაკროეკონომიკის სპეციალიზაციის ჯგუფი, რომლებიც გაძლიერებული პროგრამით სწავლობენ ცალკეულ დისციპლინებს. გარდა ამისა, ფაკულტეტზე მივიღეთ სტუდენტები ფასიანი სწავლების ფორმითაც. აღსანიშნავია ამ სტუდენტთა მონდომება და ბეჯითი შრომა.

კიდევ ერთი საკითხი: მოსწავლეთა სწორი პროფორიენტაცია. ელემენტარული წარმოდგენისათვის (ეს, ჩემი აზრით, ყველასათვის საჭიროა!) აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემოღებულ იქნას ეკონომიკის ზოგადი კურსის სწავლება.

**ვ. პაპავა:** მე შვიდი წელია, რაც სტუდენტებს ვასწავლი და შემიძლია გადაუჭარბებლად ვთქვა, რომ ჯგუფები უმეტესად დაკომპლექტებულია „სწავლამისჯილი" ახალგაზრდებით, რომელთაც არც მოწოდება და არც სურვილი არ გააჩნიათ სწავლ[illegible]. სამწუხაროდ, ეს მართლაც არ [illegible] გადაჭარბებული ნათქვამი. ჩვენთან სწავლა ერთგვარ მო[illegible]დაა ქცეული. მაგრამ შემიძლია სიამოვნებით მოვიხსენიო მაკროეკონომიკის ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდა ის ხალხი, ვი[illegible] ნამდვილად უნდა სწავლ[illegible], ვ[illegible] ეკონომიკა აინტერესებს და მეც სიხარულით შევდივარ ლ[illegible]ციაზე მათთან. ისინი დიპლომის[illegible] არ სწავლობენ და დაბეჯერე[illegible] შემიძლია თქმა, რომ [illegible]მავა[illegible] [illegible]სეთი ხალხისაა, ისინი იქნე[illegible] ნამდვილი ეკონომისტები.

**მ. ჯიბუტი:** კადრების მომზადებასთან დაკავშირებით მინდა დავსძინო, რომ სასურველია არა მხოლოდ სტუდენტების გაგზავნა საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, არამედ თავად ლექტორებისაც, რადგანაც ერთი კარგი მასწავლებელი მეტ უკუგებას მოგვცემს, ვიდრე ერთი კარგი სტუდენტი...

**— როგორც გავიგეთ, თქვენ სამივემ უარი თქვით ახლანდელ არჩევნებში თქვენი კანდიდატურების წაყენებაზე. რით არის ეს გამოწვეული?**

**ვ. პაპავა:** მე ვთვლი, რომ კაცი ერთი საქმის პროფესიონალი უნდა იყოს, ერთ საქმეს უნდა აკეთებდეს. მომავალ პარლამენტში დეპუტატობა ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ამ საქმით იყო დაკავებული, რადგანაც ნამდვილი პარლამენტი მუდმივმოქმედი ორგანოა და ვთქვათ, წარმოების დირექტორობა და დეპუტატობა, ანდა კინორეჟისორობა და დეპუტატობა, ანდა ლექტორობა და დეპუტატობა, ერთდროულად შეუძლებელია. გარდა ამისა, ადამიანის პირად, ინდივიდუალურ თვისებებსაც ხომ აქვს მნიშვნელობა. ზოგი იბადება პოლიტიკოსად და ზოგი არა!

დეპუტატობაზე უარის თქმა არ ნიშნავს იმას, რომ არ ვითანამშრომლო (როგორც ეკონომისტმა) ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებთან. სხვათა შორის, არც შატალინი და არც აგანბეგიანი დეპუტატები არ არიან, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვთ...

**ა. სილაგაძე:** აუცილებლად პარლამენტის წევრობა როდია საჭირო, რომ სასარგებლო საქმე აკეთო. თუმცა, ისიც მართალია, რომ სასურველია პარლამენტში მეტი ეკონომისტები, იურისტები და პოლიტოლოგები გვყავდეს. ამჟამად დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატთა შორის ბევრია ეკონომისტი. მათგან თუ რამდენი მოხვდება პარლამენტში, ეს სხვა საქმეა.

მე უარი ვთქვი იმიტომ, რომ ჩემი საქმე პედაგოგობაა, სადაც ამჟამად საერთო საქმისათვის ალბათ მეტი სარგებლის მოტანა შემიძლია. ამავე დროს ვიმეორებ ლადოს ნათქვამს, რომ მზად ვარ ვითანამშრომლო ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებთან!

რაც შეეხება მომავალ მრავალპარტიულ არჩევნებს, ჩემი აზრით, ეს დიდი მონაპოვარია, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ამ არჩევნებში ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობა კვლავ კომუნისტებმა მიიღონ (ვფიქრობ, ეს ძირითადად რაიონების ხარჯზე მოხდება...), მაგრამ მომავალ პარლამენტში მათ ძლიერი ოპოზიცია ეყოლებათ, რომელიც მუდმივ კონტროლს გაუწევს საკითხების გადაწყვეტაში. აქვე ერთი არცთუ შორეული მაგალითის გახსენებაც მინდა: დეპუტატობის პირველ ხანებში ელცინი კომუნისტი იყო, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, რომ კომპარტია დაეტოვებინა. ჩემი აზრით, ეს მრავლისმეტყველი მაგალითია...

**მ. ჯიბუტი:** მე მინდა წინა, ჩაშლილი არჩევნებიდან დავიწყო. იმ არჩევნების ჩაშლამ, მართალია, ერთგვარად დრო კი დაგვაკარგვინა, მაგრამ ამით პოლიტიკურად მოვიგეთ — დღეს მრავალპარტიულ არჩევნებს ვატარებთ. ამდენად, მე მხარს ვუჭერ დღევანდელ არჩევნებს და მასში მონაწილეობასაც მივიღებ, როგორც ამომრჩეველი და ცხადია, დემოკრატიულ ძალებს დავუჭერ მხარს.

მომავალი პარლამენტის წევრებმა თავი უნდა დაანებონ თავიანთ ძირითად საქმიანობას და მთლიანად პოლიტიკაში ჩაერთონ, სხვანაირად ისევ ისეთი პარლამენტი გვექნება, როგორიც აქამდე გვქონდა.

ცოდვა გამხელილი სჯობს და ახლანდელი არჩევნები მაგონებს... მისაღებ გამოცდებს სამედიცინო ინსტიტუტში. მსურველიც ბევრია, მოხვედრის ხერხებიც მრავალია, კანონიერი, თუ უკანონო. მოკლედ, პრესტიჟულია პარლამენტში მოხვედრა! სამწუხაროდ, ასე ფიქრობს დეპუტატობის კანდიდატთა საკმაოდ დიდი პროცენტი და ვერ ათვითცნობიერებენ იმ პასუხისმგებლობას, რაც მათ პარლამენტში ელით.

მართალია, ვეთანხმები აზრს, რომ სასურველია პარლამენტში ეკონომისტები და იურისტები ჰპარბობდნენ, მაგრამ ისიც ლოგიკურია, რომ შემსრულებელი ეკონომისტების სიჭარბე ჯობია, განმკარგულებელი ეკონომისტებისას. მე პირადად ყოველთვის მზად ვარ ვითანამშრომლო ჯანსაღ, პროგრესულ ძალებთან (პარლამენტის გარეთ ყოფნა საშუალებას მომცემს ყოველ მოცემულ მომენტში გადავწყვიტო სადაა ეს ძალები: ოპოზიციაში, თუ პარლამენტში) და ამით საქართველოს თუნდაც მცირედი სიკეთე შევძინო...

**P. S. ჩვენ სასაუბროდ შემთხვევით არ მოგვიწვევია ეს სამი ახალგაზრდა, ნიჭიერი ეკონომისტი, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოსათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროგრამების შექმნაში. ერთი სიტყვით, ისინი მოქმედი ეკონომისტები არიან და ვფიქრობთ, რომ მომავალში მათი საქმიანობა მნიშვნელოვნად წაადგება საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებას.**

ესაუბრა
**ციალა გოგოჭური**

# წერილები „ახალგაზრდა ივერიელს"

დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებული ვარ სამტრედიის № 81 საარჩევნო ოლქში, საქართველოს მშენებელთა კავშირისაგან, ბლოკში „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება".

გამომდინარე შექმნილი, რეალურად არსებული სიტუაციიდან, მიმაჩნია, რომ ამომრჩევლებისაგან ჩემთვის მოცემული თუნდაც ერთი ხმა. უთუოდ საზიანო იქნება ეროვნული მოძრაობის ნიშნით გაერთიანებული დეპუტატობის კანდიდატთათვის — დღეს მმართველი პარტიის კანდიდატთა სასარგებლოდ.

ვხსნი ჩემს კანდიდატურას, ეროვნული მოძრაობის კანდიდატთა სასარგებლოდ, გთხოვთ, არ შეიტანოთ ჩემი გვარი მაჟორიტარული სისტემის საარჩევნო ბიულეტენში.

ჩემს პოტენციურ ამომრჩევლებს კი მოვუწოდებ ხმა მისცენ, ეროვნული მოძრაობის ღირსეულ კანდიდატს და ბლოკს „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება".

იმედს გამოვთქვამ, რომ ჩემი კოლეგები, მშენებლები, ამ გადაწყვეტილებას არ ჩამითვლიან ღალატად, მე როგორც აქამდე, მომავალშიც გავაგრძელებ ბრძოლას ჩვენი პროფესიული ინტერესების დასაცავად, მშენებელთა კავშირის ეგიდით.

**ნოშრევან კირტავა,**
**„ამიერკავკასტრანსმშენის" ტრესტის მმართველის მოადგილე, საქართველოს მშენებელთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი.**

●

როგორც ცნობილია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ დააკმაყოფილა საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტიის სარჩელი და დაუშვა ის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისათვის.

საქართველოს პროკურორის პროტესტი, რომელიც ითხოვდა სასამართლო კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა უარჰყო.

ამრიგად, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია განაგრძობს არჩევნებში მონაწილეობას.

**საქართველოს უმაღლესი სასამართლო.**







საქართველოს ახალგაზრდულ კავშირთან არსებული ახალგაზრდული მშენებლობების ცენტრი 1990 წლის 30 ოქტომბერს ათამაშებს ფულისა და ნივთმოგების ახალგაზრდულ ლატარიას, რომელშიც, სხვადასხვა იმპორტული თუ სამამულო წარმოების ნივთების გარდა, მოგებაშია:

ავტომობილები:

„ნივა"-2121 — 5 ცალი

„ჟიგული"-2109 — 5 ცალი

„ჟიგული"-21063 — 15 ცალი

„ჟიგული"-2108 — 10 ცალი

„ჟიგული"-2105 — 10 ცალი

აგრეთვე, დიდი ფულადი მოგებები:

10 000 — 40 მოგება

8 000 — 10 „——"

7 000 — 5 „——"

5 000 — 20 „——"

2 000 — 25 „——"

1 000 — 60 „——"

და ა. შ.




სულ გათამაშებაშია 2 მილიონი მანეთის ფულადი და ნივთობრივი მოგება.

ლატარიის გათამაშებიდან ამონაგები თანხები, ტრადიციისამებრ, მთლიანად მოხმარდება რესპუბლიკაში დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღებას, ახალგაზრდა ოჯახების საბინაო პირობების გაუმჯობესებას როგორც ქალაქად ასევე სოფლად.

წინა წლებში შემოსული თანხებიდან 1 მილიონი მანეთი გადაირიცხა სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდში. ამდენივე დაიხარჯა ბოლნისში სახლების შესყიდვისათვის, აგრეთვე, სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში აშენდა საცხოვრებელი სახლები.

იჩქარეთ!!!

შეიძინეთ ახალგაზრდული ლატარიის ბილეთები, რომლებიც იყიდება რესპუბლიკის ყველა საფოსტო ორგანიზაციაში.

ლატარიის ბილეთის ღირებულება 50 კაპიკი.

თქვენ გეძლევათ შანსი მოიგოთ ძვირფასი ნივთები, აგრეთვე, თქვენი წვლილი შეიტანოთ რესპუბლიკის დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღების საქმეში.

# გულახდილი დიალოგი ჩემს ამომრჩეველ-არაამომრჩეველთან

## ანუ რატომ ვამბობ დეპუტატობის კანდიდატობაზე უარს

ჩვენი ერი არაერთხელ მდგარა ისტორიული გამოცდის წინაშე!

არჩევნების დღე — 28 ოქტომბერი კარზეა მომდგარი, ქართველმა ხალხმა უნდა აირჩიოს თავისი ნების გამომხატველი მრავალპარტიული, ზნეობრივ პრინციპებზე დაფუძნებული ეროვნული პარლამენტი, რომელიც ჩვენს ტანჯულ ქვეყანას მოკლე დროში დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას მოუტანს; ტერიტორიულ მთლიანობას აღუდგენს; სახელმწიფო ენას, რელიგიასა და კულტურას აალორძინებს და, რაც მთავარია, საზოგადოებრიობას ადამიანური არსებობის გარანტს შეუქმნის.

ამ მომავალი 250 პარლამენტარის გვარ-სახელი, თუ არ ვცდები, 3000-ზე მეტ კანდიდატშია განთესილი და მათგან ღირსეულის ამოცნობა ერთობ საშური საქმე გახლავთ.

იქნებ უადგილო შედარებაცაა, ამ სხვადასხვა პარტიათა სიებს რომ დავყურებ, მეშინია, ლატარიის ცხრილის ასოციაცია არ დაიბადოს, სადაც მინიმალური შანსი აქვს ამომრჩეველს რაიმეს „მოგებისა"... რა მაბედვინებს ამის თქმას? რა თქმა უნდა, თითოეულ ბლოკსა თუ პარტიაში არაერთი ჭეშმარიტი, თითქოს ბნელში ნათელივით არიან ჩამდგარიო, მართლაც საპატიო, საპარლამენტო ადამიანია, რომელთაც ერი გულწრფელად უნდა ენდოს ხვალინდელ საქართველოს! მაგრამ ამოირჩევს კი მათ და ერთ მონოლითად შეკრავს კი მას — პარლამენტს შვიდი ათეული წელიწადი მოტყუებული, დაბეჩავებული, ნაგვემი, დღეს თითქოს გამოღვიძებული, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ, ეროვნულ მოძრაობაში გაჩენილი განხეთქილებისა გამო დაბნეული, დამფრთხალი ქართველი ხალხის უმრავლესობა? აი, რა არის საფიქრალი!

იქნებ ზედმეტად მრავალპარტიული პარლამენტი გვაქვს, როგორც გვჩვევია ხოლმე, ქართულმა ხასიათმა იძალა და ამ ახალ-ახალ პარტია-საზოგადოებებში ეროვნული ენერგია დაიქსაქსა, გაიბნა, რასაც მე პირადად დანაშაულადაც კი აღვიქვამ! არადა, ისე ჩანს, რამდენჯერაც ერთ ხელზე ჩამოსათვლელი ქართველობა შევკრებილვართ, იმდენ პარტიადაც ჩამოვყალიბებულვართ და სახვალიოდ სწორ არჩევანში უბრალო, გაუცნობიერებელი ხალხის დიდი ნაწილი კი არა, შეიძლება, ზედმეტად „განცნობიერებულებიც" შეცდნენ! უფრო მეტიც, საზოგადოება „სტალინი" გნებავთ?.. ა, ბატონო, და... რომ არა სტუდენტი ახალგაზრდობა, შეიძლება, არც ერთ პარტიაზე არანაკლები მანდატი მიელო პარლამენტში!

კომუნისტური პარტია რაც იყო, როგორ გახრწნა ერი ზნეობრივად — კინაღამ მასიურად დამნაშავეებად ჩამოგვაყალიბა, თითქოს თითოეულმა ქართველმა იცის, მაგრამ რად გინდა, როცა მას დაპირისპირებულ ოპოზიციურ პარტიათა ერთმანეთის დაუფარავმა შეჯახებებმა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ და არდანდობამ, შესაძლებელია, ამომრჩეველთა გარკვეულ ნაწილს კვლავ შეჩვეული ჭირი აარჩევინოს!

საინტერესოა, რა ხდება საქართველოს ერთ-ერთ პროვინციაში, კერძოდ, ზუგდიდში, სადაც სხვა მრავალ კანდიდატთან ერთად მეცა ვარ დასახელებული.

გავბედავ და ვიტყვი, მთელ საქართველოში დასახელებულ კანდიდატთა საკმაო ნაწილს ვცნობ, თუ პირადად არა — მათი მოღვაწეობით მაინც, ხოლო რაც შეეხება ჩემს მშობლიურ ქალაქში წარმოდგენილთ — უფრო ახლოს და მეტადაც! თამამად შემიძლია, ვთქვა, იმ 27 დასახელებული კანდიდატიდან, არაერთი ზნეობრივად მართალი და ჭეშმარიტად მამულიშვილი გახლავთ, აქ ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ იმ თითქმის სამი ათეული ადამიანიდან სამადსამს ვირჩევთ და იქნება თუ არა ეს არჩევანი სწორი — აი, რა მაფიქრებს.

აქვე მინდა, განვაცხადო: სრულიად ვიზიარებ ბლოკ „თავისუფლების" პროგრამას, კერძოდ, მასში შემავალი ლიბერალ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის მაღალზნეობრივი, გონივრული, ინტელექტუალური დონის უაღრესად მწამს და პირადად მე მადლობის მეტი რა მეთქმის, როცა უპარტიო კაცს ნდობა და ერთგულება გამომიცხადა. სწორედ ამ ბლოკში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ არის შექმნილი თითქმის ყველა ის პროგრესული კანონი, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში მიიღო საქართველოს უმაღლესმა საბჭომ, მათ შორის, დღეს მოქმედი საარჩევნო კანონიც. ერთსაც დავძენ. ამ წერილის მიუხედავად, თუ ვინმეს სურდა ჩემთვის ხმის მიცემა, ვთხოვ, ბლოკი „თავისუფლება" გაითვალისწინოს, რა თქმა უნდა, არა ჩემს გამო, არამედ საქართველოს სამომავლოდ!

მაინც რატომ ვამბობ უარს კანდიდატობაზე?

პირველი: როგორც ზემოთ აღვნიშნე, თუ ჩემმა ერმა სწორად განსაჯა და იმ სხვადასხვა პარტიებიდან უშეცდომოდ აარჩია ის ჭეშმარიტი 250 მამულიშვილი, გულწრფელად უნდა ვაღიარო, იქ მე არაფერი მესაქმება!

ეს რაიმე თავმდაბლობით არ მომდის. უბრალოდ, შეიძლება პარლამენტს არ ვავნო, მაგრამ არც არაფერი შევძინო, ჩემს სისხლხორცეულ საქმეს კი გამოვრჩე.

მეორე: თუ ალლომ უღალატა ჩემს ერს და, ჩვენდა საუბედუროდ, არასწორად შეირჩა პარლამენტი, მაშინ, მით უმეტეს! უბრალო მიზეზისა გამო. ჩემი იქ ყოფნა ამინდს შეცვლის-მეთქი, ვერ დავიტრაბახებ.

მესამე: თუ ბატონ აკაკი ბაქრაძეს ძალუძს თქვას — მე პოლიტიკოსი არა ვარო, პირადად მე და, თუ გნებავთ, სხვა — თუნდაც ჩემს ოლქში დასახელებული ზოგიერთი კანდიდატის მაგივრადაც ლოყები სირცხვილისგან მეფაკლება...

მეოთხე: ზოგიერთი კარგად ნაცნობი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის ცხოვრების წესი და რიგი რომ ვიცი, ვის მყარ ზურგსაც არ იყოს ამჟერად ამოფარებული, ვერც ადრე ვურიგდებოდი და ვერც აწი შევურიგდები. ან რომელი ამომრჩეველი უნდა ენდოს იმ რაიონული მასშტაბის პოლიტიკურ „მოღვაწეს", რომელიც პარტიებსა და, რა თქმა უნდა, ალბათ, მრწამსსაც, სეზონურად იცვლის... ერთიდან მეორე — მესამეში გათვლით თუ გარანტიის ფურცლით რომ გადადის. მართლაც, რა უნდა ვიფიქროთ, ხვალინდელი საქართველოს მომავალი კეთილდღეობაა მისთვის მთავარი თუ მისი მომავალი კეთილდღეობა ხვალინდელ საქართველოში!

მეხუთე: თითქოს ვიცოდი, მარტო ზნეობრიობა არ კმაროდა პოლიტიკოსისათვის, მაგრამ მთლად მისი (ზნეობრიობის) გამორიცხვა რომ იყო საჭირო, არ ვიცოდი. რას ვიზამთ. ზოგიერთივით, სხვათა შორის; არანაკლებ ბოლშევიკური მეთოდებით არ შეგვიძლია ხმების მოპოვება და არც კარდაკარ სირბილით — მავანთათვის პირობის „გამოლლეტა"... და თუ ამჟერად შეგნებულად ვაბუნდოვანებ ჩემს სათქმელს, რა თქმა უნდა, დროებით, მათი „უმაღლესობის" გვარ-სახელის და საქმიანობის განცხადებას სამომავლოდ არ მოვერიდები.

მეექვსე: ზოგიერთ საარჩევნო ოლქში თუ უბანში ისეთ „სანიმუშო" ერთპარტიულ არჩევნებს ვხედავ, უძრაობის ხანაში, იმ ჩვენი ცოდვით სავსე კომუნისტებსაც კი შეშურდებოდათ...

მეშვიდე: იქნებ ამ წერილმაც ჩააფიქროს მავანი კანდიდატი და გაუჩნდეს სურვილი თავისი კანდიდატურის მოხსნისა, რაც, დამეთანხმებით, არც ისე პატარა საქმეა.

და ბოლოს, მეშვიდე: მე, როგორც შემოქმედ კაცს, ხშირად ჩვიდმეტი წლის ყმაწვილივით ხან ვარდისფრად, ხან მელნისფრად მეჩვენება ქვეყნიერება, მაგრამ... მაგრამ როცა ვხედავ ჩემს ქვეყანას უჭირს,.. ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას, მაშინ, ჩემი დაწყევლილი ხელობის წყალობით, იმ ნაგაზს უფრო მინდა ვგავდე, ფარეხში დასაბინავებლად აძრულ ფარას მგლებისგან რომ იცავს, მაგრამ შიგადაშიგ ცხვრებსაც ულრენს: არ გაიფანტოთ... სიმწყობრე არ დაგერღვეთო!..

. . . . . .

ამრიგად, ერი ისტორიული გამოცდის წინაშე დგას!

ზაურ კალანდია

# მოქალაქე

(დასასრული)

შეკრება, თავის ძალის შეერთება...

მას არ ჰყოფნის გამოცდილება, გადაზარდოს დაქუცმაცებული მოქალაქეობრივი ნებელობა — დემოკრატიულ ენერგიაში.

მოქალაქემ იცის, რომ შეუძლია გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი, მაგრამ ეშინია გადადგას ეს ნაბიჯი.

მოქალაქემ იცის, რომ არ უნდა ეშინოდეს მაგრამ...

მოქალაქემ იცის, რომ უნდა გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი, მაგრამ..

მოქალაქემ უნდა გადადგას ეს ნაბიჯი...

ერთხელ ხომ უნდა გადადგას ეს ნაბიჯი!...

ერთხელ ხომ უნდა ჩაესმას მოყვასის მოწოდებად:

— ჰეი, მოქალაქევ!...
— ჰეი, მოქალაქევ!...

ავთანდილ არაბული

## ქართველ მაშველთა კორპუსი აცხადებს მიღებას

სპეციალური დანიშნულების ინსტრუქტორების ექვსთვიან სასწავლებელში

სასწავლებელში მიიღებიან ფიზიკურად ჯანმრთელი ახალგაზრდები 17-დან 26 წლამდე, ისინი იქნებიან აყვანილი მთლიან პანსიონზე ე. ი. ექნებათ უფასო ჩაცმა, კვება და საცხოვრებელი. აგრეთვე დაენიშნებათ სტიპენდია 200 მანეთი თვეში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაო ადგილი გარანტირებულია. ცნობებისათვის მიაკითხეთ ქ. თბილისი, ვერის ბაღი, ალპური კლუბი „მხედრიონი". ტელ: 93-17-63, 93-26-38.

ჯაბა იოსელიანი,
ქართველ მაშველთა კორპუსის საბჭოს თავმჯდომარე.

# ალორძინება — არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება" და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## № 1 ბლოკი „თავისუფლება"



### თბილისის № 6 „დიღმის" საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია ბლოკ „თავისუფლების" კანდიდატი

## თედო ისაკაძე

თქვენ, ალბათ, გახსოვთ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარიჟრაჟზე გაჩაღებული სტუდენტური მოძრაობა. პერიოდი, როდესაც მიტინგი, პოლიტიკური აქცია და პროტესტის სხვა ფორმები სასტიკად იდევნებოდა მთავრობის მიერ; როდესაც ტელევიზია, პრესა და ინფორმაციის სხვა საშუალებები მთლიანად კომუნისტურ დიქტატს იყო დაქვემდებარებული. და აი, ამ პირობებში თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებთან ერთად, გამონახა ძალა და საშუალებები გაერღვია „აკრძალვის" მძლავრი ბარიერი და მკვეთრი პოლიტიკური და სოციალური მოთხოვნები წამოეყენებინა. **თედო ისაკაძე** ამ მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო. მისი მონაწილეობით წარიმართა აქციები, რომლებიც თავდაპირველად მიმართული იყო ტრანსკავკასიური რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის წინააღმდეგ, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო პოლიგონის წინააღმდეგ. **თედო ისაკაძე** იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი უნივერსიტეტში ახალგაზრდული „პრეს-კლუბის" დაარსებისა. მისი ინიციატივით შეიქმნა „სტუდენტური ფურცელი", გაზეთი, რომელმაც ლეგალურ გაზეთებს შორის პირველმა აიმაღლა ხმა არსებული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

**№ 6 „დიღმის" საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საყურადღებოდ: ხმა მიეცით დეპუტატობის კანდიდატს თედო ისაკაძეს! გვრწმუნებთ, თქვენი არჩევანი სასიკეთოდ წაადგება საქართველოს!**

**მხარდამჭერი ჯგუფის სახელით:**

**დათო ტურაშვილი, ფიქრია ჩიხრაძე, ნიკო ნიკოლოზიშვილი, პაატა ბოძელაური.**

---

**ჰუმანიტარული** ასოციაცია „კათარზისის" სათნოების ორდენი შეახსენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ჰუმანიტარულ მოძრაობაში „კვირაში ერთი დღე მოყვასს" და ეს დღე თავის ყველაზე გაჭირვებულ თანამოძმეს დაუთმოს, რომ ორდენის

### გზა ქაშუეთისაკენ

წევრები ტრადიციულად შეიკრიბებიან ქაშუეთის ტაძრის ეზოში შაბათს, 29 სექტემბერს, 11 საათისათვის.

ასი ყველაზე უქონელი თბილისელისათვის სამყოფ პროდუქტებს ამჯერად შეიძენენ ქარხანა „ელრანის" თანამშრომლები.

**სათნოების ორდენი,**
**(ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი")**

---

### სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარების ასოციაცია აცხადებს მსმენელთა მიღებას ინტეგრალური მედიცინის კურსებზე:

მსმენელები შეისწავლიან: ბიოენერგოთერაპიას (ექსტრასენსორული მეთოდით მკურნალობა), გომეოპატიას, ფიტოთერაპიას, წერტილოვან მასაჟს. გაეცნობიან ძველი სატაძრო მედიცინის საფუძვლებს, აუდიოვიზიოთერაპიას, არომათერაპიას და სხვა არატრადიციული მედიცინით მკურნალობის მეთოდებს.

მეცადინეობა დაიწყება 1 ნოემბერს, ქართულ და რუსულ ენებზე. ცნობებისათვის მიმართეთ: დავით აღმაშენებლის გამზ. 52/54. ტელეფონი: 96-31-64; 96-70-40.

---

## მერი სარაული — ჩვენი მოძღვარი



იგი ჩვენი კეთილი კერპი იყო თავისი ბრწყინვალე ნიჭით, დიდი პროფესიონალის შეუმცდარი ალღოთი გვინათებდა ჭეშმარიტ გზას მაღალი ხელოვნებისაკენ.

ნიშანდობლივია, რომ მის მოწაფეთაგან უმრავლესობამ მოქანდაკის პროფესია ავირჩიეთ, რადგან ქალბატონი მერი სარაული ყოველ ჩვენგანში არა მარტო საყვარელ მოწაფეს, არამედ ხელოვანის ინდივიდუალური თვისებებით დაჯილდოებულ პიროვნებას ხედავდა.

მის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენი პირველი ნაბიჯები და ყველა წარმატება დიდ ხელოვნებაში. და თუ დღეს მისი რომელიმე აღზრდილი თავისი ნახელავით საზოგადოების ქებას იმსახურებს, ამის თავი და თავი ჩვენი სათაყვანებელი მასწავლებელი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი და დიდი მამულიშვილია. იგი მთელი არსებით მოწოდებული იყო კარგი მოქალაქეები აღეზარდა საქართველოსათვის, რომლებიც თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ქანდაკების კაბინეტში მიღებულ ცოდნას გამოიყენებდნენ სასიკეთოდ და შორს გაიტანდნენ მშობელი ქვეყნის დიდებას.

მერი სარაულმა თავის მეუღლესთან, ცნობილ მოქანდაკე ზაქარია კრაწაშვილთან ერთად აღზარდა ისეთი ცნობილი მოქანდაკეები, როგორებიც არიან თენგიზ კიკალეიშვილი, რუსუდან გაჩეჩილაძე, გიორგი შხვაცაბაია, ალიკო რატიანი, თემურ ჩხიკვიშვილი, ლამარა ქველიძე, ავთო მჭედლიშვილი, ნიკა სმირნოვი, გიორგი ფრანგულიანი და სხვები. მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი შვილების აღზრდაშიც — ქანდაკების კაბინეტში განცდილი შემოქმედებითი შრომის სიამოვნებასა და სიხარულს ისინიც აზიარა.

ჩვენი მწუხარება უსაზღვროა, რადგან დავკარგეთ მზრუნველი მოძღვარი და ტკბილი მოყვარე, ხოლო ჩვენმა სამშობლომ კიდევ ერთი ღირსეული ქართველი, შესანიშნავი ხელოვანი, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, რომელსაც კიდევ მრავალი ღირსეული მამულიშვილის აღზრდა შეეძლო სამშობლოსათვის.

რადგან სულის უკვდავება ჭეშმარიტია, გულს იმითღა ვიმშვიდებთ, რომ მერი სარაულის არსება ჩვენს სულში განსხეულდა. მისი მადლიერი მოწაფეები არასდროს დავივიწყებთ ჩვენი დიდი მასწავლებლის ნათელ ხსოვნას.

**ქეთევან ბაგრატიძე, ვიტალი ჩერქეზიშვილი, ავთო ანთაძე, ნიკო შარაშიძე, ირაკლი რევაზიშვილი, გიორგი სოლოღაშვილი.**
მოქანდაკეები.

**მინაწერი:**

**ყოველ წელიწადს, როგორც წესი, სასახლეში იმართებოდა მერი სარაულის აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენა, რომელსაც ჩვენ, მისი აღზრდილები სიამოვნებით ვნახულობდით ხოლმე და ვაფასებდით. წელს, 25 ნოემბერს, მისი დაბადების დღესთან დაკავშირებით, მსგავსი გამოფენა ისევ გაიმართება, მაგრამ ამჯერად მერი სარაულის გარეშე...**

---


### ვიზების სათარგმნად

**გთხოვთ, მიმართოთ კოოპერატიულ ფირმა „ზევს", რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების გარდა. 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით, 22-58-40 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ქუჩა № 2.**


### მინიფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

ნოემბერში კომერციული ფირმა „ნარიყალა" აწყობს თბილისის უბნების შეჯიბრებას მინიფეხბურთში. შეჯიბრება კომერციული ხასიათისაა, დაწესებულია სოლიდური ფულადი პრიზები.

ტურნირში მონაწილეობის მსურველ გუნდებს ვთხოვთ განცხადებით მიმართონ ფირმა „ნარიყალას" არაუგვიანეს 31 ოქტომბრისა შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიდი ხეივნის ქუჩა № 4, კრწანისის რაიონის აღმასკომის შენობა, V სართული, ფირმა „ნარიყალა". ტელ: 72-40-41; 72-35-92. განაცხადები მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 17 საათამდე.

### ხელმოწერა — 91

ბოლო ხანებში აგრე რიგად მომრავლებულ ახალი გამოცემების „ტევრში" მკითხველი ცოტა არ იყოს, დაიბნა. მიუხედავად ამისა ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის კამპანია უკვე დაიწყო და ბევრს მხოლოდ ერთგული მკითხველის იმედიღა აქვს. მაგრამ რა ქნან იმათ, რომელთაც ეს-ეს არის გააკეთეს პირველი განაცხადი, ეს-ეს არის გამოვიდნენ და...

მკითხველის მთავარი ორიენტირი ამ შემთხვევაში, ალბათ, ის იქნება, რომ ორიენტაცია გააკეთოს ამა თუ იმ გაზეთის გამომცემელზე. „შარავანდი" იმედოვნებს; ეს ალბათ, ასეც მოხდება და მაშინ მკითხველი თავად გააკეთებს დასკვნას იმაზე, რომ დავით აღმაშენებლის საზოგადოება და მისი გაზეთი „შარავანდი" უპირატესად იმ საქმეებს, იმ პრობლემების გაშუქებას ეცდება, რაც დიდ დავითს შეიძლება შეეხედოს კაცმა.

მოკლედ, იმედია, მიგვიხვდით. გამოიწერეთ გაზეთი „შარავანდი". წლით მისი ხელმოწერა ეღირება — 6 მანეთი. ნახევარი წლით — 3 მანეთი, სამი თვით — 1,5 მანეთი. შარავანდის ინდექსია 66408.

**„შარავანდის" რედაქცია**


### ყურადღება!

**გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" და სატელევიზიო პროგრამა „ილუზიონში" რეკლამები შეგიძლიათ შეუკვეთოთ ტელეფონზე: 87-58-25; მისამართი: ბუდაპეშტის № 1. (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე). ფირმა „არგო"-ს სარეკლამო სააგენტო**



ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-61; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-88; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორის მოადგილე გეგლა გოგეჩია

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო ქაღალდზე, ხოშორმულის № 20 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია: ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.